ხელშეკრულება #SET-04.18.017-11
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის საშუალებით
CPV- 90520000

ქ. თბილისი

18 აპრილი 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ხელშეკრულების მხარეები არიან: ერთის მხრივ, ს.ს. **„უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით, და მეორეს მხრივ, შპს **"რადიაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების ცენტრი"** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლერი მესხის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა კანონით გათვალისწინებული პროცედურები გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA140027216**) საშუალებით 3 200.00 ლარის ფარგლებში ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებების (რადიაქტიულ, მომწამვლელ, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებების / CPV 90520000) (შემდგომში - "მომსახურების") შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **3 200.00** (სამი ათას ორასი) ლარად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება მოცემულია დანართში №1, რომელიც შეადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები (რადიაქტიულ, მომწამვლელ, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებები / CPV 90520000) მომსახურების შესყიდვა.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დასრულების მომენტისათვის მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში მითითებული ღირებულებით (ღირებულებების ერთობლიობით), მაგრამ არაუმეტეს **3 200.00** (სამი ათას ორასი) ლარისა.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან, განახორციელებს სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე გასაწევი მომსახურების აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

5.2 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ შესრულებულ მომსახურებას აღმოაჩნდება ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. "მომსახურების" მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ გამოწერილი ოფიციალური მომართვის საფუძველზე.

6.2. "მომსახურების" მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ ოფიციალური მომართვის გამოწერიდან - არაუგვიანეს 3 (სამ) სამუშაო დღის განმავლობისა.

6.3. "მომსახურების" მიწოდების პერიოდი განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან -2017 წლის 31 დეკემბრამბრის ჩათვლით პერიოდით.

6.4. "მომსახურების" მიწოდების მოთხოვნის წამოყენება შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმებიდან -2017 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

6.5. "მომსახურების" მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4.

6.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს "მომსახურების" მოწოდება შესაბამისი ნორმების დაცვით.

7. თანმდევი მომსახურება (არსებობის შემთხვევაში)

7.1. არ გამოიყენება

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის [illegible] მომსახურების გაწევის შესახებ ფინანსური [illegible] და მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ყოველთვიურად, ითვალისწინებს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განხორციელდება მოწოდებული მომსახურების საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ თავისი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სათანადო ხარისხით გაწევა შემსყიდველისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

10.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა სავარუდოა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდისათვის შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას სრული მოცულობით შეისყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსახურების სრული მოცულობა.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11.2. მომსახურების გაწევისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

11.3. ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

11.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, ფასები და მოქმედების ვადა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ფასების ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონე (არანაკლებ 10%-ით), საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, სავალუტო კურსის მინშვნელოვანი ცვლილება (არანაკლებ ±10%-ით) და სხვა;

12.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემცირება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.

12.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის

პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.7 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. ფორს-მაჟორული სიტუაცია

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის ანუ კონკრეტულ პირობებში (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და ა.შ.) საგანგებო და გარდაუვალი მოქმედებით.

13.2. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

13.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ-კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

13.4 ფორსმაჟორული გარემოებების 15 დღეზე მეტხანს გაგრძელების შემთხვევაში, შემსყიდველს ფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

14.2 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები წყდება მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"

მის: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4
ს/კ 405001466
ბანკი: ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ანგარიში: GE95TB7795436020100004
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი

რემა ფვამიჩავა

„მიმწოდებელი“
შპს "რადიაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, ე.ნინოშვილის ქ. N 42 ბ. 21
ს/კ 401949772
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
ანგარიში: GE18TB7993936020100001
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი

ლერი მესხი

დანართი #1

CPV	მომსახურების დასახელება	ტრანსპორტირების ობიექტის სპეციფიკაციები		ტრანსპორტირების რ-ბა		ტრანსპორტირების ღ-ბა (GEL)		სულ (GEL)		ტრანსპორტირების ადგილი		ტრანსპორტირების პირობრბი
				შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა	გატანა	შემოტანა / გატანა
90520000	მაიონირებელი გამოსხივების სამედიცინო წყაროს ტრანსპორტირება.	წყარო		4	4	575.0	225.0	2300.0	900.0	შპს "ლასარეს" სატვირთო ტერმინალი (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი)- ს.ს. უნივერსალური სამედიცინო ცენტრი (ლისის ტბის მიმდებარედ # 4)	ს.ს. უნივერსალური სამედიცინო ცენტრი (ლისის ტბის მიმდებარედ # 4) - შპს "ლასარეს" სატვირთო ტერმინალი (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი)	ხელშეკრულების გაფორმებიდან (3 სამუშაო დღის განმავლობაში) - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
		რადიონუკლეიდის სახე	Iridium-192 (D/0096/S-96)									
		მწარმოებელი	Mallinckrodt Medical B.V. The Netherlands									
		დიზაინის ტიპი	Ir2.A85-2									
		რადიაქტიური გამოსხივების ფორმა	გამა გამოსხივება									
		სავარაუდო აქტივობა წამოსვლის დროს	370 GBq									
		დამცავი კონტეინერი										
		მწარმოებელი:	Mallinckrodt Medical B.V.									
		შემადგენლობა:	ფოლადი/ალუმინი									
		წონა და ზომები:	25კგ, 40*30*34 სმ									
		შეფუთვა :	A ტიპის (დაბრუნებადი)									
		ტიპი:	T 4									
								3200.0				

„შემსყიდველი“
შ.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარე#4
ს/კ 405001466

დირექტორი

რომა ღვამიჩავა

„მიმწოდებელი“
შპს "რადიაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, ე.ნინოშვილის ქ. N 42 ბ. 21
ს/კ 401949772

დირექტორი

ლერი მესხი